საქართველოს კანონი

„არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონს (პარლამენტის უწყებანი, №17-18, 14.05.1998, გვ. 7) დაემატოს შემდეგი შინაარსის VIII[1] თავი:

„თავი VIII[1]

გარდამავალი დებულება

მუხლი 19[1]. არქიტექტურული საქმიანობის სერტიფიცირება გარდამავალ პერიოდში

არქიტექტორს ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული არქიტექტურული პროექტის დასამოწმებლად 2024 წლის 1 მარტამდე შესაბამისი სერტიფიკატის ფლობა არ მოეთხოვება.“.

მუხლი 2. ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 19[1] მუხლის მოქმედება გავრცელდეს 2022 წლის 1 ოქტომბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

7 ოქტომბერი 2022 წ.

N1897-IXმს-Xმპ